



## გეოგრაფიული და ეკოლოგიური მეცნიერებების თვალსაჩინო მოღვაწე

კილაძე რ., ბენიძე ე., ოჩხიკიძე ი.  
 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატია მიძღვნილია აღიარებული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის თეოფანე დავითაიასადმი. ბ-ნმა თეოფანემ განუზომელი ამაგი დასდო ქვეყანაში აგრომეტეოროლოგიის, აგროკლიმატოლოგიის, სოფლის მეურნეობის გეოგრაფიისა და ფიზიკური გეოგრაფიის, ასევე, სხვა დარგების განვითარების დიდმნიშვნელოვან საქმეს.*

*აკადემიკოსმა თ. დავითაიამ ცხოვრებისა და სამეცნიერო მიღწევების რთული, მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო გზა განვლო: 1932 წელს დაამთავრა სუბტროპიკული კულტურათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტი. 1950 წელს წარჩინებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლენინგრადის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში.*

*1960 წლიდან თ. დავითაია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1962 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს. 1970 წლიდან საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტია.*

*მნიშვნელოვანია თ. დავითაიას გამოკვლევები მელიორაციის, ქარშოშინის, გვალვისა და წყინეების თეორიასა და მათთან ბრძოლის მეთოდურ საკითხებზე, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების მეთოდიკის დაზუსტებაში და სხვ. ყველა მისი გამოკვლევა დიდად უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საერთო-სახალხო საქმეს.*

აკადემიკოს თეოფანე დავითაიას შესახებ სტატიის დაწერის იდეა დამებადა მას შემდეგ, რაც მომეცა შესაძლებლობა გავცნობოდი ბ-ნ კობა ხარაძის ნაშრომს „კაცი ლეგენდა“. ვალდებულეხას აძლიერებდა ისიც, რომ მიუხედავად ბ-ნი თეოფანე დავითაიას საქვეყნოდ აღიარებისა, მას თითქმის არ იცნობს ეკოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობა. გარდა ამისა, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ბ-ნი თ. დავითაია გახლდათ ჩემი მასწავლებლის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე მოწერელიას თანაკლასელი. ეს უკანასკნელი კი მოძღვარი და ერთ-ერთი დამკვალიანებელი გახლდათ ჩემი მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისა.

ბ-ნი თეოფანე დავითაია დაიბადა 1911 წლის 15 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ეკში. იზრდებოდა პატარა თეოფანე ერისტო ბაბუასთან. მამა - ფარნა დავითაია 1909 წლიდან მუშაობდა ფოთის ნავსადგურში მტვირთავად, სადაც იმუშავა 1934 წლამდე (გარდაიცვალა 1973 წელს), დედა - მარიამ ფარდალავა დიასახლისი იყო (გარდაიცვალა 1962 წელს). მათ 6 შვილი ჰყავდათ. პირველდაწყებითი განათლება თეოფანემ სწორედ სოფელ ეკში, ოთხკლასიან რემა დავითაიას კერძო სასწავლებელში მიიღო, სადაც თეორიულ მომზადებასთან ერთად მოზარდებს შრომის სიყვარულს უნერგავდნენ, რის გამოც დიდი მეცნიერი შემდგომში მოწიწებით და პატივისცემით იხსენებდა მას. 10 წლის რომ შეიქმნა,

სოფლის 4 კლასიკ დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ფოთში ჩაიყვანეს. 1921 წელს თეოფანე დავითაიამ სწავლა გააგრძელა ფოთის საშუალო სკოლაში, რომელიც 1927 წელს წარჩინებით დაამთავრა (სკოლას 1981 წელს თავისი აღზრდილის სახელი ეწოდა).

სწავლასა და შრომას მიჩვეული თეოფანე დავითაია საშუალო სკოლადამთავრებული ფოთის ქალაქკომის შუამდგომლობით ნავსადგურში ჭიათურის მანგანუმის მტვირთვად იწყებს მუშაობას დღიურ ანაზღაურებაზე. აქ მხოლოდ 1 წელი იმუშავა. 1928 წელს იგი სწავლას იწყებს თბილისში სამედიცინოზე, თუმცა ახალგაზრდა თეოფანეს ეს სპეციალობა სრულებით არ აინტერესებდა და სწავლა გააგრძელა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, სადაც მას ლექციებს უკითხავდნენ აღიარებული მეცნიერები - მიხეილ საბაშვილი, დიმიტრი გედევანიშვილი, ლევან ყანჩაველი, ზაქარია ყანჩაველი, ალექსანდრე მაცაშვილი, ვასილ კანდელაკი, კონსტანტინე ამირეჯიბი, სიმონ ჩოჩია და სხვები. იმავდროულად თეოფანე პარალელურად მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტის შემადგენლობაში შემავალ თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიის ამინდის ბიუროში. სწორედ აქ გაიცნო და შეითვისა ბუნებაზე კლიმატის ზემოქმედების ის კანონზომიერებანი, რამაც ასახვა ჰპოვა მის შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ სამეცნიერო მუშაობაში. ამასთან, ბ-ნი თეოფანე თბილისში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო უნივერსიტეტის და სრულიად საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობაში, რაც შემდგომში უფრო დახვეწა თავის სამეცნიერო ორგანიზაციულ მუშაობაში.

1931 წელს თ. დავითაიამ წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი - სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი და შეუდგა ცხოვრების ახალ ეტაპს, რადგანაც იგი გაგზავნეს ლენინგრადში სწავლის გასაგრძელებლად მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის სპეციალობით. როგორც ირკვევა, გამოცდები თარჯიმნის დახმარებით ჩააბარა, რადგან რუსული ენა კარგად არ იცოდა. თუმცა, შემდგომ ისე შეისწავლა პუშკინის ენა, არ ჩამოუვარდებოდა რუსული ენის კარგ მცოდნეს, და რაც მთავარია, ბ-ნი თეოფანე შემდგომში ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ხოლო ცოტა მოგვიანებით იტალიურს და ესპანურს.

ლენინგრადში თ. დავითაია მოხვდა ვავილოველთა წრეში, ხოლო უშუალო ხელმძღვანელი გახლდათ მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე.

გ. ტ. სელიანინოვი, ინსტიტუტის დირექტორი კი იყო ნ. ი. ვავილოვი. ამ პიროვნებების გვერდით ყოფნა მისთვის დიდი სამეცნიერო და ადამიანური ურთიერთობის სკოლა იყო. გ. ტ. სელიანინოვი გახლდა თ. დავითაიას სამეცნიერო ხელმძღვანელი. მას არ უყვარდა ასპირანტების ლოლიავი და მაინც ბევრი თავის მასწავლებლად თვლიდა. ასპირანტურაში სწავლის სამ წელიწადში თეოფანე მას სულ 2-3-ჯერ შეხვდა. პირველად მაშინ, როდესაც თემა შესთავაზა გ. სელიანინოვმა და ფურცლის მეოთხედ ნაწილზე ჩამოუწერა თემის შესრულების ზოგადი სქემა. ორნახევარი წლის შემდეგ ხელახლა მიიღო ხელნაწერის წასაკითხად. თუმცა ბ-ნი თეოფანე თვლიდა, რომ იგი მისი ყოველდღიური ხელმძღვანელი იყო. მით უმეტეს, რომ მას გ. სელიანინოვის არც ერთი ნაშრომი წაუკითხავი არ დაუტოვებია და წაკითხულიდან ყოველივე სასარგებლოს ითვალისწინებდა.

პროფ. გ. სელიანინოვი აგროკლიმატოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. თ. დავითაიას ასპირანტურაში სწავლის დროს გ. სელიანინოვის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული ზონის დიდი აგროკლიმატური გამოკვლევები, რომლებმაც თეორიული დასაბუთება მისცეს შემდგომ სამუშაოებს აგრო და მიკროკლიმატოლოგიაში. თ. დავითაია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ გამოკვლევებში.

მან წამოაყენა მთელი რიგი მეთოდური საკითხებისა, რომლებიც შემდეგ ფართოდ იქნა დამუშავებული. მათ შეიძლება მიეკუთვნოს ჰაერის ტემპერატურების მის მიერ შემოთავაზებული მიკროკლიმატური გადაღების მეთოდოლოგია და ფიტომეტრების მეთოდი, გამოყენებული რელიეფის სხვადასხვა პირობებში ჰაერის კრიტიკულ ტემპერატურათა დონის განსაზღვრისათვის მისდამი მგრძობიარე მცენარეთა რეაქციის მიხედვით. იგივე მეთოდი საშუალებას იძლევა სხვადასხვა პირობებში თერმული რეჟიმის ცვალებადობა გამოყენებულ იქნას სავსე ლაბორატორიად, სპეციალურად გადმორგულ მცენარეთა დაზიანების კრიტიკული ტემპერატურის დასადგენად.

1932 წლიდან თ. დავითაია იყო ასპირანტთა ბიუროს თავმჯდომარე, მრავალჯერ იქნა არჩეული მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის და მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის კომკავშირის ბიუროს შემადგენლობაში, იყო აგრეთვე აგროჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

1936 წლის 29 დეკემბერს თ. დავითაიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია - „ვაზის კლიმატური ზონები საბჭოთა კავშირში“, რომელიც 1938 წელს გამოიცა მონოგრაფიის სახით. წიგნში პირველად მოცემული ცალკეული კულტურის - ვაზის აგროკლიმატური დახასიათება, ღრმად არის დასაბუთებული ეკოლოგიურად და თეორიულად ვაზის გავრცელების დამოკიდებულება კლიმატურ პირობებთან. დამუშავებულია და გაღრმავებული კლიმატოლოგიის მთელი რიგი თეორიული და მეთოდური საკითხები. მოცემულია სხვადასხვა ჯგუფის ყურძნის ჯიშების სითბოთი უზრუნველყოფის ალბათური დახასიათება, შემოღებულია აგროკლიმატური და კლიმატური რესურსების ცნებები, პირველად მიღებული ვეგეტაციური პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფის ჯამური მრუდეები და მოცემულია ამ მრუდეების ანალიტიკური გამოხატულება; დასაბუთებულია ვაზის როგორც სამრეწველო, ისე მოყვარულთა კულტურის სხვადასხვა ჯიშის გავრცელების ჩრდილო და ვერტიკალური საზღვრები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ევროპასა და აზიაში. ამ გამოკვლევამ ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მევენახეობაში და მონოგრაფიას რამდენჯერმე მიენიჭა სხვადასხვა პრემია.

ამ პერიოდისათვის თ. დავითაია აგრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია და მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე. ამავე დროს იგი ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტი აგრძელებს სწავლას. გაიარა რა სრული საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სრული კურსი. აქაც მისი კონსულტანტები იყვნენ აკადემიკოსი ნ. ვავილოვი და პროფ. გ. სელიანინოვი, რომლებიც მეცნიერების თჯალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ხასიათით დიამეტრიულად განსხვავებულნი თ. დავითაიასაგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე უფროსი თაობის ისეთ მეცნიერებთან ურთიერთობასაც, როგორებიც იყვნენ ს. სოვინოვი, ა. კამენსკი, ბ. მულტანოვსკი, ლ. ბერგი, ე. ვულფი, ი. მაკაროვი, ე. სინსკაია და სხვ. ასეთი ბუმბერაზი ადამიანების გვერდით ჩამოყალიბდა წარმატებულ მკვლევარად.

თ. დავითაიას მეცნიერული მოღვაწეობა ამ პერიოდისათვის მიმართული იყო ვაზის აგროკლიმატური დახასიათების გამოკვლევათა შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე. მევენახეობის ჯიშობრივ დარაიონების დასაბუთებაზე და საბჭოთა კავშირში მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებით სპეციალიზაციის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაზე დამუშავებულია კლიმატოლოგიის მთელი რიგი თეორიული და მეთოდური საკითხები, მოცემულია სხვადასხვა ჯგუფის ვაზის ჯიშების სითბოთი უზრუნველყოფის

ალბათური დახასიათება; დასაბუთებულია როგორც სამრეწველო, ისე მოყვარულთა კულტურების გავრცელების ჩრდილო და ვერტიკალური საზღვრები ევროპასა და აზიაში, მის მიერ შემოტანილი იქნა თუ ცალკეულ წლებში ამინდის ცვალებადობა თუ როგორ იწვევს სხვადასხვა წელიწადს ერთი და იმავე ვენახისაგან მიღებული ყურძნის და მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის არსებით ცვალებადობას. სწორედ ამ პერიოდში პირველად წამოაყენა ქართველმა სწავლულმა „მწვანე კონვეიერის“ იდეა, რომელიც შემდგომში საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში უფრო დეტალურად დაამუშავა (მთელი წლის განმავლობაში ქალაქების უზრუნველყოფა ბოსტნეულითა და ხილით).

1940 წელს თ. დავითაია არჩეული იქნა სრულად საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ და აქედან მოყოლებული აქტიურ მუშაობას ეწეოდა საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში. 1970 წელს იგი აირჩიეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად, ხოლო 1972 და 1976 წლებში საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე პრეზიდენტად.

თ. დავითაია ომის დაწყებისთანავე მოქმედ არმიაში მოხვდა. იგი ხელმძღვანელობდა საჰაერო სამხედრო ძალების ნაწილებისა და შენაერთების მეტეოროლოგიურ სამსახურს, იყო ლენინგრადის, ვოლხოვისა და სტეპის ფრონტებზე. მიუხედავად ამისა, ამ მძიმე წლებშიც არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა, შეიცვალა მხოლოდ პროფილი, შემცირდა გამოკვლევათა დიაპაზონი. ომის პერიოდში (1945 წელს) იგი მოხვდა სლოვაკეთის ჰურბანოვის ობსერვატორიაში, სადაც მის მიერ გაკეთებული იქნა პირველად რუსულ-ქართულ ენაზე ჩანაწერები, თუმცა ამ ობსერვატორიაში ჩანაწერები კეთდებოდა 1880 წლიდან. 1971 წელს ამ ობსერვატორიაში იქნა ბ-ნი თ. დავითაია მიწვეული ობსერვატორიის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სტუმრად.

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ბოლოს, თ. დავითაიამ კვლავ ქ. ლენინგრადს მიაშურა და მემცენარეობის სრულად საკავშირო ინსტიტუტის აგროკლიმატური ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე დაინიშნა. იგი განაგრძობდა ომის დროს შეწყვეტილი აგროკლიმატოლოგიის პრობლემის დამუშავებას; განაგრძო ამ მეცნიერების თეორიული საკითხების განვითარება და გაღრმავება. ვაზის კულტურისა და მეღვინეობის წარმოების აგროკლიმატური დარაიონება.

1950 წლისათვის თ. დავითაიამ მოახდინა თავისი გამოკვლევების შედეგების შეჯამება და ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - „მევენახეობის დარაიონების და მეღვინეობის სპეციალიზაციის კლიმატური საფუძვლები საბჭოთა კავშირში“. მალე, 1952 წელს მონოგრაფია დაიბეჭდა - „ვაზის კლიმატის გამოკვლევები საბჭოთა კავშირში და მათი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება“. ეს მონოგრაფია მევენახეობის, მეღვინეობის და აგროკლიმატოლოგიათათვის სამაგიდო წიგნად იქცა. თ. დავითაიას ომის შემდეგ ნაშრომებში ხაზგასმულია ატმოსფერული პროცესების გამოკვლევების ფიზიკური მეთოდების გაძლიერების აუცილებლობა. წინ წამოწეულია გამოყენებითი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტამ შესაძლოა საგრძნობლად აამაღლოს ამ დისციპლინების, კერძოდ აგროკლიმატოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ბ-ნმა თ. დავითაიამ ჯერ კიდევ ომამდე (1938 წელს) დაიწყო დიდი რუსი მეცნიერის კლიმატოლოგისა და გეოგრაფის ალექსანდრე ვოეიკოვის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოკვლევა ჰიდრომეტეოროლოგიურ დარგში. მან ყურადღება მიაქცია მეცნიერის შრომების ფუძემდებლურ ხასიათს და ვოეიკოვისეული ტრადიციის შემოქმედებით განვითარების აუცილებლობას საბჭოთა ჰიდრომეტეოროლოგიურ მეცნიერებაში.

1951 წელს თ. დავითაია ქ. მოსკოვში გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე სამეცნიერო ნაწილში, რომლის დანიშვნას ხელს აწერდა ი. სტალინი. აქ მან შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი და ღრმა ერუდიცია გამოავლინა. მისი ინიციატივით, გეგმებითა და რედაქციით, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერთა კოლექტივის მიერ მოკლე დროში შესრულებულ იქნა რიგი დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის კომპლექსური გამოკვლევები. მათ შორისაა თ. დავითაიას გამოცემები, რომლებიც ახასიათებენ ყამირი და ნასვენ მიწების ათვისების აგროკლიმატურ და წყლის რესურსებს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ატლასის კლიმატურ ნაწილს და კლიმატური ატლასის შედგენას.

15 წლის განმავლობაში თ. დავითაია იყო საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა საცდელ სახელმწიფო კომისიის მუშაობაში. მონაწილეობა მიიღო მრავალტომეული კაპიტალური გამოცემის „სსრკ ამპელოგრაფია“ მომზადებაში.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისისას ნაშრომთა სერიები მიძღვნილია გვალვების წარმოშობისა და განვითარებებთან დაკავშირებულ მოვლენათა მექანიზმებზე, დადგენილია ამ მოვლენათა გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები და მისი საშიშროებები, შეფასების კრიტერიუმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ზონაში გვალვასთან ბრძოლის დიფერენციულ მეთოდებს (სხვადასხვა ანეული, მინდორსაცავი ტყის ზოლები, გაწყლიანება, მორწყვა და სხვა), რომლებიც დამოკიდებულია კონკრეტულ კლიმატურ პირობებზე და რაიონის სიტუაციით და სინოტივით უზრუნველყოფის სათანადო შეხამებასთან. თ. დავითაია ასაბუთებს, რომ სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში (მიწათმოქმედება და მეცხოველეობა) დიფერენცირებული წარმოების შემოღება უზრუნველყოფს მათი პროდუქტიულობისა და რენტაბელობის ზრდას.

1962 წელს საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის დამაარსებლის და თითქმის 30 წლის განმავლობაში მისი უცვლელი დირექტორის აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით თ. დავითაია თბილისში გადმოვიდა და სათავეში ჩაუდგა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. საქართველოში გადმოსვლასთან ერთად კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა თ. დავითაიას მეცნიერული საზოგადოებრივი მოღვაწეობა და კავშირები როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებში. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბუნების პრობლემებს, ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის გავლენას კლიმატის შეცვლაზე და მის ბუნებრივ ცვლილებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების არაერთ პრობლემას, აორთქლებისა და მორწყვის ფორმების დადგენას, ბუნებრივი კონვეიერის მეთოდის დამუშავებას, ციტრუსების ყინვისაგან დაცვის სრულიად ახალ მეთოდებს, სექცვას და მისი წარმოშობის პირობებს, საქართველოს ბუნების დაცვის საკითხებს. რაზეც ნათლად მეტყველებს მისი ბიობიბლიოგრაფია. ბევრს იღწვოდა იგი შავი ზღვის სანაპიროს გაჯანსაღებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა ახალი ათონის მღვიმეზე, რომლის შესწავლის პროგნოზიკა ბ-ნი თეოფანეს უშუალოდ ჩარევით მიეცათ ქართველ მეცნიერებს, ხოლო მღვიმის აღმომჩენებსა და კეთილმომწყობებს მიენიჭათ სახელმწიფო პრემია.

ბ-ნი თეოფანე დავითაია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უკანასკნელ ათწლეულებში შესამჩნევად გაუარესდა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს კომპონენტები, რის შედეგადაც კავკასიონზე ხდება მცინვარების ზედაპირის დაფარვა ანთროპოგენური მტვრის თხელი ფენით, რაც იწვევს მზის სხივების ენერჯის უფრო გაცხოველებით შთანთქმას, ვიდრე ამას ახერხებს მათი მიმდებარე ჰაერის ფენები. სწორედ ეს გარემოება იწვევს მცინვარების თანდათან დნობას და მათ უკან დახევას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მცინვარებზე მოდებული მტვრის ფენა შემდეგ ზამთარში ახალი თოვლით იფარება, რაც იწვევს მტვრის დაკონსერვებას. მეცნიერმა კავკასიონის მცინვარზე ჩატარებული ექსპერიმენტი შეუდარა ალპებისა და პამირის მთებში აღებულ მასალებს და გააკეთა დასკვნა - ატმოსფეროს გაჭუჭყიანება მატულობს, რასაც მოსდევს კლიმატის პლანეტარული დათბობა, ხოლო პლანეტარული კლიმატის დათბობას თავის მხრივ მსოფლიო ოკეანის დონის ამაღლება მოჰყვება...

მეცნიერის კალამს ეკუთვნის 250-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 10 მონოგრაფიაა, ხოლო 30-მდე გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. მათი უმრავლესობა გვევლინება როგორც დღევანდელობის, ისე მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და უანგარო მამულიშვილი. თ. დავითაიას სამეცნიერო მოღვაწეობა შეფასებული და აღიარებულია მთელ მსოფლიოში. ის არის თვალსაჩინო მეცნიერი გარემოს გაუმჯობესების და მცენარეთა დაცვის თეორიაში არახელსაყრელი ამინდისა და კლიმატური მოვლენების (გვალვა, გაზაფხულისა და შემოდგომის წყინვების) ზემოქმედებისაგან. იგი ყოველთვის ზრუნავდა თეორიისა და პრაქტიკის რეალური ურთიერთკავშირისათვის.

თეოფანე დავითაია მოღვაწეობდა ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის და უისკონსინის (აშშ) უნივერსიტეტებში პროფესორად, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და კუბის მეცნიერებათა აკადემიის კონსულტანტის ხარისხით.

და ბოლოს, ნათელ ხსოვნას ბ-ნი თ. დავითაიას შესახებ არასოდეს დაივიწყებენ მისი აღზრდილები, და არა მარტო აღზრდილები, ისინიც ვინც მის ნაშრომებს გაეცნობიან და შემდგომში ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ მათ.

## ლიტერატურა

1. კობა ხარაძე - კაცი ლეგენდა. თბილისი. 2011. გვ. 1-401
2. გ. ნადარაია, გ. კილასონია. ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 16.09.1976.

## A PROMINENT FIGURE OF GEOGRAPHIC AND ECOLOGICAL SCIENCES

**Kiladze R., Benidze E., Ochkhikidze I.**

**Summary:** *The academician Theophyne Davitaia was a leading scientist, member of Georgian Academy of Sciences, Head of Earth Studying Sciences Department, President of Geographical Society of Georgia and Director of Vakhushti Institute of Geography. He is an outstanding scholar in environmental protection and its transformation; He created the theoretical bases of climatic zoning; a new method of evaluation of climate conditions assessment on agricultural production, according to which the prediction of the natural region's warmth and humidity in subtropical and moderate zones can be predicted; also, he created a predictable calculation of agricultural crops. He has learnt about the causes of climate change, which is shown in his numerous works; He was one of the first who pointed out the importance of the study of changes in the atmospheric pollution, the gas composition of the atmosphere as a result of human activity.*